რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ [illegible] გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 19 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 19

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.
ყოველ დღიურ გაზეთებზე
„ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ზანვორი პრივ“-ზე
რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.
„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით — 12 მან., ერთი თვით — 2 მან.

## ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სიღარიბის გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულად გადაიხადონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპიანს (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

## ბრძოლა ძალა-უფლებისათვის.

ამიერკავკასიის სეიმი შეიკრიბა. მის მონაწილეთ განზრახვა აქვთ მთელი პოლიტიკური ძალა-უფლებით შემოსონ იგი, ამიერ კავკასიის მთავრობათ გამოაცხადონ ის.

დღემდე ეს ადგილი ამიერკავკასიის კომისარიატს ეჭირა. ახლა ის მიდის და სეიმს უთმობს ადგილს.

კომისარიატის დაარსებას დროს ჩვენ ვამბობდით: გაკეთებით ის ვერაფერს გააკეთებს, სამაგიეროთ ბევრს გააფუჭებს-თქო. ეს სავსებით გამართლდა: თავის გაკეთებულს ის ვერაფერს დაიკვეხებს, მის გაფუჭებულზე კი ქვანიც ღაღადებენ.

სეიმის შესახებაც იმასვე ვიტყვით, მხოლოთ შემდეგი არსებითი ცვლილებით: სეიმი გაცილებით მეტს გააფუჭებს, ვიდრე ეს შესძლო ამიერ-კავკასიის კომისარიატმა.

კომისარიატის დაარსება იყო რუსეთში დამყარებულ საბჭოების მთავრობის არ ცნობა, მისი უარყოფა და მასთან ბრძოლა. მაგრამ მისი ოსტატი ავტორები ცდილობდენ კომისარიატი თვით რევოლიუციონური ხალხის ქმნილებათ წარმოედგინათ. ეს ადგილობრივი საბჭოების მთავრობაა — აცხადებდენ ისინი და ამას იმით ასაბუთებდენ, რომ ადგილობრივ მუშების, გლეხების და სალდათების ცენტრებმა დაადასტურეს მისი შედგენა.

ნამდვილათ კი კომისარიატი სრულიათაც არ იყო საბჭოების მთავრობა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენ რაღა გვექნებოდა სადაო. თათრის ბეგებს და ქართველ ფედერალისტებს ვერც ერთი საბჭო ვერ წარმოადგენდა თავის წრიდან. ამათ კი კომისარიატში საპატიო პორტფილები ხვდათ წილათ. აშკარაა; კომისარიატი საბჭოების გარეშე შედგა და საბჭოებს გარედან მოახვიეს ის თავზე, აცნობინეს, დაადასტურებინეს მომხდარი აქტი.

მაგრამ კომისარიატი იძულებული იყო ფორმალურათ მაინც დაყრდნობოდა საბჭოებს, მათთვის ეკითხა რჩევა და ათასში ერთხელ თავის მოქმედების ანგარიშიც კი წარუდგინა მათთვის.

კომისარიატი არსებობდა და ნებით და უნებლიეთ ხელს უწყობდა საბჭოების მიერ ძალა-უფლების დაკარგვას. რევოლიუციონური საბჭოების ნაცვლათ ასპარეზზე გამოვიდნენ ნაციონალური საბჭოები, რომლებმაც შექმნეს თავისი პოლკები და მზათ არიან ერთათ ერთ მთავრობათ გამოაცხადონ თავი.

კომისარიატიც ამ მხრივ ცდილობს სავსებით დააგვირგვინოს თავისი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება; ის იწვევს დამფუძნებელი კრების წევრებს და მათ კრებულს (სეიმს) აცხადებს ერთათ ერთ კანონიერ მთავრობათ.

ამით წყდება ის სუსტი კავშირი, რომელიც არსებობდა კომისარიატსა და საბჭოებს შორის, ქრება ის ილიუზიაც, რომ საბჭოები წარმოადგენდენ ძალა-უფლების წყაროს: სეიმი დამოუკიდებლათ, თვით არის თავისი ძალა-უფლების წყარო მარტო მით, რომ ის მთელი ხალხის მიერ არის არჩეული.

აქ დიდი ხანია დაიწყო საბჭოებისთვის პოლიტიკური ძალა-უფლების აყრა. რუსეთში საბჭოებმა ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელთ, აქ ამის საწინააღმდეგოთ კომისარიატი დაარსეს. მთელი მისი არსებობა ეს საბჭოების პოლიტიკური დაუძლურება და დაიქვეითება იყო. სეიმის მოწვევა — ეს უკანასკნელი აქტია საბჭოების პოლიტიკური გაპარტახებისა. ეხლა საბჭოები ზედ მეტ ბარგათ არის მიჩნეული. ძალა-უფლების საკითხში ის სხვას უნდა დამორჩილოს, სხვისი უზენაესობა უნდა აღიაროს და მაშასადამე თითონ დაიშალოს.

ასე ოსტატურათ აუგეს წესი მენშევიკ-ესერებმა რევოლიუციონურ საბჭოებს, სადაც ისინი გაბატონებული იყვნენ. ახლა ისინი სეიმში გააგრძობენ ხალხის [illegible] ნიადაგზე ვარჯიშობას. მათ შექმნეს სეიმი, როგორც გარდამავალი საფეხური ნაციონალურ ბურჟუაზიულ მთავრობათა შესადგენათ. მათ სავსებით განახორციელეს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პრინციპი, სეიმში ისინი გასწევენ დალალობას და შეათანხმებენ სხვადასხვა ერის ბურჟუაზიას, მოარიგებენ, გაშინჯნავენ მათ და ამ გზით შეთანხმებულ შეკავშირებულ გაბატონებულ კლასებს მიუჩევენ მერე თავ-თავის მშრომელ ხალხს, რომ მონოპოლიურათ შეუცილებლათ ყვლიფონ და კრიჭონ იგი. კომისარიატმა წარმოშვა სეიმი, სეიმი წარმოშობს ნაციონალურ მთავრობებს.

სეიმში იქნება ბრძოლა. ეს ბრძოლაა გაბატონებული კლასებისა ერთმანეთ შორის. ისინი იქ გაიყოფენ ძალა-უფლებას „უხაზეინოთ“ და ჩხუბის დროს ეცდებიან თავ-თავისი მშრომელი ხალხი მოიშველიონ და მით თავისთვის მეტი ლუკმა დაითრიონ.

სეიმი — ეს მშრომელი ხალხისთვის ძალა-უფლების საბოლოოთ ჩამორთმევაა, მისი ბურჟუაზიულ კლასებისთვის გადაცემის იარაღია. აქედან აშკარაა, ჩვენი დამოკიდებულება ამ სეიმთან: ის სავსებით უარყოფითია, ჩვენ შევებრძოლებით მას უფრო მეტი ულმობელობით, ვიდრე ამიერკავკასიის კომისარიატს.

სწარმოებს ბრძოლა ძალა-უფლებისათვის. სეიმი ბურჟუაზიის ძალა-უფლების იარაღია. ჩვენ მას უნდა დაუპირდაპიროთ მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოები. ჩვენი ძველი ლოზუნგი მთელი ძალა-უფლება საბჭოებს — უკვე განხორციელდა რუსეთში, ის უნდა განხორციელდეს აქაც.

მართალია, ამას დიდი ბრძოლა სჭირია, დიდი დაბრკოლებები ელობება წინ და უმთავრესათ ის, რომ მენშევიკ-ესერების წყალობით საბჭოები გამოიფიტენ, ჰაერში გამოკიდებული დარჩენ. მათ არ ძალუძთ ასეთ პირობებში აწარმოონ ბრძოლა, ხოლო უბრძოლველათ კი ძალა-უფლებას ის [illegible] დაიპყრობს.

მაგრამ დღევანდელი რევოლიუციონური ხანა არსებითათ სცვლის ძალთა განწყობილებას და გამოფხიზლებული ხალხი სულ მცირე ხანში შეიძლებს აღადგინოს და შექმნას თავისი საბჭოები და შემოსოს ისინი მთელი ძალა-უფლებით; და ეს მით უმეტეს ადვილდება, რომ რუსეთში უკვე განმტკიცდა საბჭოების ძალა უფლება.

ჩვენი ამხანაგების ვალია, თავდადებულათ განაგრძონ საბჭოების აღდგენა, ხელ-ახლა შედგენა და მათი რევოლიუციონური სულისკვეთებით აღჭურვა. ქალაქათ და სოფლათ თანასწორათ უნდა გაისმას ჩვენი მკვეთრი ხმა, რომელმაც ფეხზე უნდა დააყენოს მშრომელი ხალხი, მოტყუებულ-მოღორებული მენშევიკ-ესერებისგან მათი კოალიციურ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოლიტიკით. ნაციონალიზმმა თავის განვითარების უაღრეს წერტილს მიაღწია, ის ცდილობს გარდაუვალი ზღუდე აღმართოს რუსეთის მშრომელ ხალხსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის. ჩვენ უნდა აღვადგინოთ მუხანათურათ გაწყვეტილი კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან და მასთან ერთათ განვაგრძოთ რევოლიუციონური ბრძოლა ყოველგვარ ბატონობის წინააღმდეგ. მან გაიმარჯვა რუსეთში და დაამყარა საბჭოების ძალა-უფლება; ჩვენც უნდა გავიმარჯვოთ აქ და დავამყაროთ ადგილობრივი საბჭოების ძალა-ფლება.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს, გაუმარჯოს მის მიერ შექმნილ საბჭოების მთავრობას!

ძირს ამიერ-კავკასიის სეიმი!

მთელი ძალა-უფლება კავკასიაში ადგილობრივ მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს!

## „ერთობა“ს მოკამათენი.

„ერთობა“ სავსებით გამოფიტულა და ეს მეტად საგრძნობი შეიქნა მას აქეთ, რაც მან უარყო ინტერნაციონალური

დროშა და გადაიქცა ნაციონალურ საბჭოების, ნაციონალურ პოლკების, ქართული რეგულიარული ჯარის აპოლოგეტათ.

ის გვებრძვის ჩვენ ყოველგვარი საშუალებით და საინტერესოა, რომ ვერასოდეს საკამათო საგანს პრინციპიალურ სიმაღლეზე ვერ აყენებს, ის ჟანდარმული შემოძახებით ცდილობს ლელო გაიტანოს. ჩვენ ვაკრიტიკებთ მენშევიზმს, ვებრძვით მას პრინციპიალურათ, ვცდილობთ ობექტიურათ დავაფასოთ მისი როლი წარსულში და აწმყოში, გამოვნახოთ მიზეზობრივი კავშირი მენშევიზმის აყვავება—დაცემის ისტორიაში. ამ საგანს რამდენიმე წერილი ვუძღვენით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ „ერთობამ" ვერც ერთს ვერ ჩასჭიდა ხელი და ვერ მოახერხა იქ წამოყენებულ დებულებების გაბათილება.

სამაგიეროთ მას დიდათ ეადვილება რომელიმე ფრაზის ამოგლეჯა და მასზე ყბედი ოხუნჯობის აშენება. ასე ექცევა ის ჩვენს უკანასკნელ სტატიას „ქართული მენშევიზმი". მთელი ამ სტატიიდან მას მხოლოთ ელიავა და ჟუღელი ამოუკითხავს და პირად კინკლაობას გვიკიჟინებს. ნამდვილათ კი სტატიაში ნახსენებია ელიავა-ჟუღელის გარდა ტროცკი, ლარინი, მარტოვი, აქსელროდი და მარტინოვი და ეს პიროვნებათა გულისთვის კი არა, არამედ იმიტომ, რომ ამ პიროვნებათა როლის და მნიშვნელობის შემწეობით გამოგვერკვია უფრო საინტერესო საკითხი, სახელდობრ: როგორ მოხდა, რომ ქართული მენშევიზმი ასცდა რუსეთის მენშევიზმის რყევა რღვევის პროცესს და მთელი შემადგენლობით (პარტიულ გენერლებზეა ლაპარაკი) გადაბარგდა ნაციონალისტურ ბანაკში.

ჩვენ თითქოს ვგრძნობდით, რომ მენშევიკები რომელიმე ფრაზის ამოგლეჯით დაკმაყოფილდებოდენ და ამით მიაფუჩეჩებდენ საკამათო საგანს. ამიტომ ჩვენ სტატიის დასასრულს პირდაპირ გამოვიწვიეთ მენშევიკები პრინციპიალურ კამათში და მათი ვალი იყო, რაკი გამოეხმაურენ სტატიას, ამ მხრიდან გაეცათ პასუხი. ჩვენ ვწერდით: „სცადონ ჩვენმა მენშევიკებმა და მეცნიერულათ აგვიხსნან, თუ რატომ არ განმეორდა აქ რუსეთის მენშევიზმის რყევა და რღვევა და რატომ შეინარჩუნა მან აქ თავისი გაქვავებული ფორმა? ჩვენ ყურადღებით მოვისმენთ მათ საბუთს მხოლოთ ერთი პირობით: საბუთათ არ იხმარონ ის მოსაზრება, რომ ქართველები უფრო დაწინაურებულია, უფრო ჭკუიანია, უფრო დამდგარი ბუნებისაა,— ერთი სიტყვით, რომ ქართველები სჯობიან რუსებს. ეს საბუთი ნაციონალისტურია და ჩვენ შეჩვეული არა ვართ ასეთი საკმაზის მონელებას".

ჩვენ წინდაწინ მოუჭერით გზა „ერთობის" პუბლიცისტებს და ნაციონალისტური დასაბუთება ადრევე უარვყავით. მაგრამ ეტყობა „ერთობას" სხვა საბუთი არ მოეძებნება და ამიტომ სულ აუხვია გზა საკითხის პრინციპიალურ მხარეს.

ეს პირველათ არ ემართება „ერთობას". პრინციპიალურ კამათს ის ჭირივით გაურბის. მას დაბალი ხარისხის დემაგოგია და ლანძღვა-თრევა უფრო სასახელო ხელობათ მიაჩნია. მეტი გზა არც დარჩენია. რომ ის პრინციპიალურ ნიადაგზე დადგეს, სავსებით უნდა აღიაროს ფედერალისტ ნაციონალ-დემოკრატიის ეროვნული ავლადიდებით და მათ მიერ დადალეჭილი ხელმეორეთ ცოხნოს. ეს კი ჯერჯერობით არ ემარჯვება ახალ ნაციონალისტურ პოზიციაზე გადასულ „ერთობას". დღეგრძელი ვიყოთ და ამასაც მალე მოვესწრობით: „ერთობა" მალე შეითვისებს ნაციონალისტურ კარაბადინს და მის გამოყენებაში უკან მოიტოვებს მის გუშინდელ კანონიერ პატრონებს. ამის ნიშნები უკვე საკმაოთ არის.

## მენშევიკების პოლიტიკა.

დღეს თითქმის არ არსებობს რუსეთში ისეთი პარტია, რომელიც უარყოფდეს პრინციპიალურათ ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას. სხვათა შორის ყველაზე მეტი სამსახური ბოლშევიკებს მიუძღვით დაჩაგრულ ერთა წინაშე. პირველათ მათ აღვიარეს სრული ეროვნული დამოუკიდებლობა. ცხადია, წმინდა დემოკრატიული პარტია სხვა გზას ვერ დაადგებოდა და სხვაზე ბატონობას არ მოისურვებდა. მართლაც თუ გვინდა, რომ დამყარდეს ამ ქვეყნათ ძმობა-ერთობა და თანასწორობა, ყველა ერს უნდა მიენიჭოს სრული სუვერენული უფლებანი; სხვა ნაირათ მსჯელობა ყოვლათ შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, ეროვნების ქვეშ იმალება ბურჟუაზიის ბატონობა და კონტრ-რევოლიუცია. მაგალითისთვის საკმარისია გადავავლოთ თვალი რუსეთის სხვა და სხვა ერების დღევანდელ მოქმედებას, რომელნიც სარგებლობენ თავისუფლებით. ნიკოლოზის ტახტის დამხობის შემდეგ ბურჟუაზიულ ახალმთავრობას რუსეთის ყველა ერებმა მორჩილება გამოუცხადეს მიუხედავათ იმისა, რომ ახალი მთავრობაც იმავე მათრახით ემუქრებოდა უცხო ერებს, რომლითაც ნიკოლოზი, თუ მის ვინმე წინააღმდეგობას გაბედავდა. ცხადია, ვინც მართლა თავის ნაციონალურ იდეალებისთვის იბრძოდნენ, უეჭველათ აქტიურათ უნდა გამოსულიყვნენ ასეთ მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ საქმის ვითარებამ დაგვანახვა, რომ ბურჟუაზიული პარტიები, რომელნიც სიტყვით ნაციონალურ იდეალებს ებღაუჭებიან, საქმით ანტი-ნაციონალურ მოღვაწეობას აჩაღებენ და ნაციის ინტერესებს ანაცვალებენ თავიანთ კლასობრივ ინტერესებს და ამიტომაც არ უმხედრდებოდნენ ლვოვისა და კერენსკის მთავრობას. ჩვენი მენშევიკებიც სრულიად სდუმდნენ, ვითომდა იმ მოსაზრებით, რომ ამ ომიანობის დროს ძალთა გათიშვა და ნაციონალური იდეალების წამოყენება უდროულია და კონტრ-რევოლიუციას ხელს შეუწყობსო. სწორედ ეს ხალხი, რომელიც ასე მსჯელობდა იმ დროს, სულ სხვა ჰანგზე აჭიკჭიკდა, როდესაც იფეთქა ოქტომბრის რევოლიუციამ და პროლეტარიატმა ჩაიგდო ხელში მთელი ძალა-უფლება და დაუყოვნებლივ გამოსცა დეკრეტი ყველა ერთა თავისუფლებისა და თანასწორობისა. ეხლა ეს ვაჟბატონები აუმხედრდნენ წმინდა დემოკრატიულ მთავრობას და სწორედ იმავე ომიანობის დროს იწყეს ძალთა გათიშვა და შეუწყვეს ხელი კონტრ-რევოლიუციას. რუსეთის სახელმწიფო დაიყო მრავალ ნაწილებათ. სხვა და სხვა ერები სარგებლობენ რა თავისუფლებით და მუშათა კლასის შეუგნებლობით, ლამის არის ზოგმა ბატონ-ყმობა გამოაცხადოს, სადაც სანატრელი შეიქნება ნიკოლოზის რეჟიმი. ყოველი რეაქცია თანდათანობით აბნელებს თავისუფლების სხივებს და ერთ მშვენიერ შემთხვევის დროს სრულიად ახშობს მას. მაგალითებ გავიხსენოთ თუნდა ჩინეთის რევოლიუცის და უზურპატორი იუანშიკაი, რომელმაც თავის ეგოიზმს ანაცვალა თავისუფლება და ვერაგულათ ჩასცა მახვილი მას გულში. თუ უზარმაზარმა ჩინეთმა ერთი იუანშიკაი წარმოშვა, სამაგიეროთ მასთან შედარებით პატარა რუსეთს მრავალი იუანშიკაები ჰყავს: კალედინი, კორნილოვი, კერენსკი და სხვანი ძმანი მათნი. დღეს სინამდვილემ დაგვანახვა, რომ თავისუფლებას საფრთხე მოელის რუსეთის ჩამორჩენილ ერების ბურჟუაზიისაგან, რადგან ამ ერთა დემოკრატია სათანადოთ მომზადებული ვერ აღმოჩნდა რევოლიუციისათვის. რა გზას უნდა დაადგეს ამ დროს რუსეთის ცენტრალური მთავრობა? ცხადია მის მოვალეობას შეადგენს რუსეთში მცხოვრებ დემოკრატიის ინტერესების დაცვა და ამისთვის მან უნდა ხელი შეუწყოს კლასთა ბრძოლის გაჩაღებას ამ ერებში, რაც უკვე ხდება და რაც უეჭველათ დამთავრდება ყველა ამ ერებში მუშათა საბჭოების ძალა-უფლების განმტკიცებით.

ვარლამ ბლი—ძე

## როგორ მოატყუეს ხალხი სოციალისტ - რევოლიუციონერებმა და რა მისცა ხალხს ბოლშევიკების ახალმა მთავრობამ.

(გაგრძელება. იხ. „ბრძოლა № 18.)

### ესერების პარტიამ ხელახლა მოატყუა ხალხი.

ესერების პარტიამ საჯაროთ და საყოველთაოთ გამოაცხადა თავის მთავარ გაზეთ „Дѣло народа"-ში 18 და 19 ოქტომბრის რიცხვით, რომ მიწათმოქმედების მინისტრის ახალი კანონ-პროექტი „წარმოადგენს დიდნაბიჯს პარტიულ აგრარულ პროგრამის განსახორციელებლათ წინ გადადგმულს", რომ „პარტიის ცენტრალი აღმასრულებელი კომიტეტი დაბეჯითებით მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციებისგან განავითარონ ენერგიული აგიტაცია კანოპროექტის სასარგებლოთ და გაავრცელოს ეს ფართო მასებში".

და აი სწორეთ ეს კანონპროექტი, შედგენილი მინისტრ ს. ლ. მასლოვისაგან, სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიის წევრისგან, რომლის უმთავრესი ნაწილები გადაბეჭდილი იყო „Дѣло народа"-ში, გახლავთ გლეხობის „მოტყუება. დიახ, ესერების პარტიამ მოატყუა გლეხობა: მან თავისი მიწის კანონ-პროექტი გამოსჭრა მემამულეების, კადეტების გეგმაზე, რომელიც მოითხოვდა „სამართლიან შეფასებას და მემამულეთა მიწებზე საკუთრების შენარჩუნებას".

ესერების პარტიამ თავის ყრილობაზე რევოლიუციის ხანებში, პირველათ 1905 წელს და მეორეთ 1917 წელს ზეიმით და საჯაროთ პირობა დაუდო გლეხობას რომ მას დაუჭერს მხარს მის მოთხოვნილებას მემამულეთა მიწების კონფისკაციაში ე. ი. რომ უსასყიდლოთ გადავიდეს მიწები გლეხების ხელში. ბ. ს. ლ. მასლოვის ეხლანდელი პროექტით კი მემამულეები არამც თუ ანარჩუნებენ საკუთრებას მიწაზე, არამედ იჯარის ფულებსაც ისინი იღებენ ჯიბეში,

ბ. ს. ლ. მასლოვის ასეთი კანონპროექტი შეადგენს სრულ ღალატს გლეხობისადმი, ესერების პარტიისგან ჩადენილს. ესერების პარტია გადალაგდა მემამულეთა ბანაკში. ყოველი ღონისძიება უნდა იყოს მიღებული, რომ გლეხობამ შეიგნოს ეს ჭეშმარიტება.

გაზეთ ,,დელო ნაროდამ" 18 ოქტომბრის რიცხვით დაბეჭდა მასლოვის პროექტის 25—40 პარაგრაფები. აი ძირითადი და უმთავრესი ამ პროექტისა:

1. მომავალ დროებითი საიჯარადრო ფონდში მემამულეთა ყველა მიწები არ ჩაირიცხებიან.

2. ამ ფონდში მემამულეთა მიწებს ჩარიცხამენ საადგილმამულო კომიტეტები, შექმნილნი მემამულეთა მთავრობისგან თავად ლვოვის მეთაურობით თანახმათ აპრილში 1917 წ. გამოცემულ კანონისა.

3. იჯარის ფასს მემამულეთა მიწებზე აწესებენ საადგილმამულო კომიტეტები ,,წმინდა შემოსავლის მიხედვით" და იჯარის ფულს გადასახადების გამოკლებით, გადასცემენ ,,სათანადო მიწის მფლობელს" ე. ი. მემამულეს.

ეს ესერების მიერ გლეხობის სამკეცი მოტყუებაა, და ამიტომ ამ სამივე მუხლებზე უნდა დაწვრილებით შევდგეთ.

,,სრულიათ რუსეთის გლეხთა უწყებებში" № 88 აგვისტოს 19-დან დაბეჭდილია ,,ნაკაზი"-ს ნიმუში, შედგენილი 242 ნაკაზების საფუძველზე, რომლებიც გლეხთა დეპუტატებმა ადგილიდან წარადგინეს პირველ სრულიათ რუსეთის გლეხთა საბჭოების ყრილობაზე პეტროგრადში 1917 წელს.

ნაჩვენები ნაკაზის ნიმუში შემუშავებულია ადგილობრივათ გლეხთა რწმუნებულთაგან 242 ,,ნაკაზის" მიხედვით და წარმოადგენს საუკეთესო მასალას იმისას, თუ რა სურთ გლეხებს. და სწორეთ ეს ნაკაზის ნიმუში საკმარისათ ამტკიცებს, თუ როგორ მოატყუა ესერების პარტიამ გლეხობა ს. ლ. მასლოვი პროექტით.

გლეხობა მოითხოვს კერძო საკუთრების გაუქმებას მიწაზე; კერძო მესაკუთრეთა და სხვათა მიწების საზოგადოების საკუთრებათ გამოცხადებას; ესხველოთ, რომ მაღალკულტურიანი მეურნეობის მიწის ნაჭრები, როგორც ბაღები, პლანტაციები და სხ. გარდიქცნენ ,,სანიმუშო სასწავლო ნაჭრებათ", რომელნიც უნდა გადაეცენ თემებს განსაკუთრებულ სასარგებლოთ; რომ მოხდეს მთელი სამეურნეო ინვენტარის, როგორც მოძრავის ისე არა მოძრავისა, კონფისკაცია და სხ.

აი რა ნათლათ და მკაფიოდ არის გამოხატული გლეხთა მოთხოვნილება 242 ნაკაზების მიხედვით, რომელნიც ადგილობრივ მისცეს გლეხებმა თავიანთ რწმუნებულებს.

ესერების პარტიამ კი ამის მაგიერათ კავშირი შეკრა ბურჟუებთან და მემამულეებთან, მიიღო მონაწილეობა ბურჟუების და მემამულეების მართვა-გამგეობაში და ბოლოს შეადგინა კანონპროექტი, რომლითაც არ ისპობა მემამულეთა კერძო საკუთრება და მხოლოთ ერთი ნაწილი მემამულეთა მიწებისა გადადის დროებითი საიჯარადრო ფონდში!.

ამ პროექტის ძალით საიჯარადრო ფონდში არ ჩაირიცხებიან ბაღები, პლანტაციები, ჭარხლის სათესნი და სხ.; საიჯარადრო ფონდში არ ჩაირიცხებიან აგრეთვე მიწები, რომელნიც საჭირონი არიან დასაკმაყოფილებლათ თვით მიწის მფლობელისა, მის ოჯახობისა, მის მოსამსახურეთა და მუშებისა და აგრეთვე საქონლის შესანახად!!.

გამოდის, რომ მდიდარ მემამულეს, რომელსაც აქვს შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ზეთის და სხ. ქარხნები, ანუ წისქვილები, ბაღები, პლანტაციები, ჰყავს ასობით საქონელი, რამდენიმე ათი მოსამსახურე და მუშები, ხელუხლებლივ რჩება უზარმაზარი მშვენივრათ დამუშავებული და იმავე დროს კაპიტალისტურად დას-

ყენებული მამული. აი რა უსინდისოთ მოატყუა გლეხობა ესერების პარტიამ! კანონპროექტის სიტყვით მემამულეთა ანუ კერძო მესაკუთრეთა მიწებს საიჯარადრო ფონდში ჩარიცხამენ საადგილმამულო კომიტეტები; ეს კომიტეტები შექმნა 1917 წლის 21 აპრილს მემამულეთა მთავრობის კანონმა თავადი ლვოვის იეთაურობით, ე. ი. მილიუკოვის და გუჩკოვის მთავრობამ, ამ იმპერიალისტთა და ხალხის მცარცველთა მთავრობამ, რომელიც პეტროგრადის მუშათა და სალდათთა მოძრაობამ დაამსხვრია აპრილის 20-21-ში ე. ი. ამ ნახევარი წლის წინათ.

ადვილი გასაგებია, რომ ეს კანონი, (კომიტეტების შესახებ) როგორც შექმნილი მემამულეთა მთავრობისგან არც შეიძლება იყოს დემოკრატიული. მართლაც და ჩვენ ამ კანონში ვხედავთ არა ერთს აღმაშფოთებელ არა დემოკრატიულ მხარეს, მაგალითად ამ კანონის მე XI ძალით „საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებს ნება ეძლევათ შეაჩერონ სასოფლო და სამაზრო კომიტეტების გადაწყვეტილებანი უმაღლეს საადგილმამულო კომიტეტების დადგენილებამდის“. კომიტეტები კი, ამ გაიძვერა მემამულეთა კანონის თანახმად ისრე არიან შედგენილნი, რომ სამაზრო კომიტეტი უფრო ნაკლებად დემოკრატიულია ვიდრე სასოფლო, საგუბერნიო კომიტეტი ნაკლებად დემოკრატიულ სამაზროზე და უმთავრესი კომიტეტი უფრო ნაკლებად დემოკრატიულია ვიდრე საგუბერნიო.

სასოფლო კომიტეტში შედიან მარტო სოფელისგან არჩეულნი პირები; სამაზრო კომიტეტში ემატება მომრიგებელი მოსამართლე და ხუთი წევრი დროებითი აღმასრულებელ კომიტეტებისგან (ახალ თვითმართველობის შემოღებამდის). საგუბერნიო კომიტეტში შედის გარდა საოლქო სასამართლოს წევრისა და მომრიგებელ მოსამართლისა, სამინისტროს წარმომადგენელიც, რომელსაც ნიშნავს თვით მინისტრი და სხ.; უმთავრეს კომიტეტში შედის 27 წევრი, „რომელთაც იწვევს დროებითი მთავრობა“! ამათ გარდა შედიან თითო თითო წარმომადგენელი თერთმეტ პოლიტიკურ პარტიიდგან, რომელთა რიცხვში თერთმეტში ექვსი ეკუთვნის კადეტებს და მათზე მემარჯვენეებს. მაშ ეს რა არის, თუ არა არამზადობა ლვოვისა, შინგარიოვისა, რომელთაც კანონს ხელი მოაწერეს, და მათი მეგობრებისა? მაშ რა არის ეს, თუ არა მასხარად აგდება დემოკრატიზმისა მემამულეთა სასარგებლოთ?

ამით განა არ მართლდება ბოლშევიკების არა ერთჯერი განცხადება, რომ მხოლოდ გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, რომელთაც ირჩევს მშრომელთა მასები და სცვლის კიდეც, როცა კი საჭიროთ დაინახავს—შეუძლიათ სავსებით გამოხატონ გლეხთა ნებისყოფა და განახორციელონ კიდევაც ცხოვრებაში.

ესერებმა, რადგან მათ გლეხობა ენდობოდა მიიღეს რა უმრავლესობა გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად აღმ. კომ. უღალატეს გლეხებს, გასცეს გლეხთა საბჭოები, გადავიდნენ მემამულეთა მხარეზე და შეურიგდნენ მემამულის, თავადის ლვოვის კანონს საადგილ მამულო კომიტეტების შესახებ აი რაშია მეორე უმთავრესი მოტყუება გლეხებისა ესერების მიერ.

**ლენინი.**

(შემდეგი იქნება.)

# რუსეთის ქრონიკა.

კონტრ-რევოლიუცია ჩრდილო კავკასიაში.

(კავკასიის არმიის მეორე სიეზდის დელეგაციის წევრის მოხსენება).

1917 წ. 17 დეკემბერს გაემგზავრა დელეგაცია ჩრდილო კავკასისაკენ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლისთვის, რომ ზომები ეხმარა კარაულოვ-კალედინის პოლიტიკის გასაქრობათ.

როგორც კი დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით კავკავს მიუახლოვდა, სდ. ბალტასთან მას თავს დაესხა „დიკაია დივიზიის“ ერთი რაზმი და დაატყვევა იგი, დელეგაცია გაძარცვულ და შეურაცყოფილ იქნა კონტრ-რევოლიუციონურ „ბანდისგან“. ცოტა ხნის შემდეგ კონტრრევოლიუციონური მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთან „პრემიერ“, ყაფლანოვთან მოლაპარაკების მერე დელეგაცია მისგან განთავისუფლებულ იქნა; ამასთანავე ყაფლანოვმა განაცხადა, რომ კავკასიის არმიის სიეზდის მიერ დელეგაციის დანიშვნა და ჩრდილო კავკასიისკენ გამომგზავრების ამბავი მან წინდაწინვე იცოდა; რომ სიეზდის ნაკაზი თერგ-დაღესტანის მხრის მთავრობის შეხედულებას ეწინაამდეგება; რომ ხსენებული მთავრობა მათ მეგობარ—მეზობელ სახელმწიფოს დესპანათ და მოციქულათ თვლის.

ორი დღის შემდეგ თერგ-დაგესტნის მთავრობის და მთიელთა კომიტეტის შეერთებული სხდომა მოხდა, რომელზედაც კავკასიის არმიის დელეგაციამ თავისი დეკლარაცია წაიკითხა და მოითხოვა, რომ რკინის გზის დაცვა კავკასიის არმიას მიენდოს, დაუბრუნდეს [illegible] აყრილ ნაწილების იარაღი კავკასიის არმიის საბჭოს; მოეთხოვოს პასუხი სამარის და უფის დრუჟინის იარაღის აყრისთვის, 44 ბატარეის და პულემეტის კომანდების ხელში ჩაგდებისათვის; პასუხი მოეთხოვოს მათ გროზნის განადგურებისათვის და აგრეთვე მოეთხოვოს, რომ ალყა მოხსნან ციხეებს: ვედენოს, გუნიბს და ხუნზაკს; უკანასკნელთ ნება მიეცეს რუსეთის ჯარების ნაწილებს ჩრდილო კავკასიაში დასასვენებლათ ბინადრობისა.

ყველა ამ მოთხოვნებზე ბ. ყაფლანოვი შეფოთავდა და აღელვებული იძლეოდა გაურკვეველ პასუხებს, მასთან თხოულობდა, რომ დელეგაციამ მასთან შეთანხმებულათ იმოქმედოს.

ამაზე დელეგაციამ მას განუცხადა, რომ ნაკაზით ის მოწოდებულია რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან ერთად იმუშაოს და არა კონტრ-რევოლიუციონურ თერგ-დაღესტნის მთავრობასთან.

ამის შემდეგ ყაფლანოვი უფრო ცხადათ ალაპარაკდა; მან გამოგვიცხადა, რომ რკინის გზის ლიანდაგის დაცვა რუსეთის ჯარის ნაწილებს ვერ მიენდობა, ართმეული იარაღი „დიკაია დივიზიას“ აქვს ჩაბარებული და მისი უკან ნვე დაბრუნება აღარ შეიძლება. სამარის დრუჟინას იარაღი აყარეს სტრატეგიული მოსაზრებით; ხოლო რაც შეეხება ეშელონებს, ამაზე მცხეთიდან ტელეფონით კომისარმა დონსკოიმ გვაცნობა, რომ საქართველოს სამხედრო გზით კავკავზე 4.000 ჯარის კაცი მოდისო.

„დიკაია დივიზია“ გაიგზავნა ეშელონების შესახვედრათ, რომ მათთვის იარაღი აერთმიათ. ქ. გროზნოს ჯარები შემოარტყეს თერგ-დაღესტნის მთავრობის დეკრეტის ძალით, რითაც ჩეჩენთა და ინგუშთა აღელვებულ მასსების დასაშვიდებლათ, რომლებიც ქ. გროზნის სადგურზე „დიკაია დივიზიის“ ერთი აფიცრის მოკვლის გამო მეტათ აღშფოთებულნი იყვნენ. ხსენებული აფიცერი მოკლულ იქნა საჩეჩნოში კონტრ-რევოლიუციონურ პოლოვცევის განკარგულებით იარაღის გადატანის დროს. რაც შეეხება ეშელონების გატარებას, ამაზე თერგ დაღესტნის მთავრობას სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის მთავრობასთან პირობა აქვს დადებული, რომ იგი თავის ტერიტორიაზე არც ერთ შეიარაღებულ სალდათს არ გაატარებს და არც ერთ ნაწილს ჯარისას ბინას არ მისცემს. ასეთი პირობით არიან შეკრული სამხრეთ აღმოსავლეთის სახელმწიფონი: დონის მხარე, ყუბანის და თერგ-დაღესტნის მხარეები. ციხე ვედენოს ალყაზე ყაფლანოვმა განაცხადა, რომ ამაზე მან არაფერი იცის. მაგრამ პოლოვცევის სიტყვიდან გამოაშკარავდა, რომ ალყა ციხეს ამ უკანასკნელის ბრძანებით შემოარტყეს: ნაბრძანებია თურმე, რომ ციხეს იარაღი აყარონ და ჩეჩენთა განსაკუთრებულ კომისიას ჩააბარონ ამით დასრულდა მთელი მოლაპარაკება, რის შემდეგ თერგ-დაღესტნის მთავრობა კიდევ მეტი სიმძაფრით შეუდგა თავის კონტრრევოლიუციონურ თარეშს კავკასიის მთებში. რაც გამოიხატა უმთავრესათ მუშათა და სალდათთა ყველა საბჭოების გარეკა-განადგურებაში. ხოლო დელეგაცია სრულიად მოწყვეტილ იქნა ყოველმხრივ, რისგამოც ის იძულებული გახდა დაშლილიყო და პირობების დაგვარათ ემოქმედნა.

# საზღვარ-გარეთ.

[illegible] გაფიცვები.

გრანდიოზული გაფიცვები გაიმართა ზავის სასარგებლოთ ავსტრია-უნგრეთში, ამას წინათ; ქ. ვენის 200,000 მუშის გაფიცვა დღესაც გრძელდება; მხოლოთ ზოგ ადგილებში შეუდგენ მუშაობას; მუშები მოითხოვენ დემოკრატიულ ზავს.

საფრანგეთის მუშები.

იანვრის პირველ რიცხვებში საფრანგეთის მუშათა პროფესიონალურ კავშირების კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია სოციალისტური პარტიის უმცირესობასა და უმრავლესობას შორის გაჩაღებულ ბრძოლის დროშის ქვეშ ჩატარდა. უმრავლესობის გამომხატველები იყვნენ: ჟოუ დიუმა და ბლედი; ხოლო უმცირესობის—მერგეიმი, პერიკო, მაიუ და ბურდერონი. ესენი ალტაცებით მიესალმენ რუსეთის დელეგაციის მიერ წარდგენილ ზავის პირობებს. მერგეიმი და პერიკო ციმერვალდელთა პოზიციას იცავდენ ამ საკითხში. ნათლათ დახატეს მათ რუსეთის ბოლშევიკების პრინციპები და მოითხოვეს, რომ საფრანგეთის მუშებიც დადგენ ლენინის და ტროცკის პოზიციაზე.

კონფერენციის რეზოლიუცია ჰგმობს და უარყოფს საიდუმლო დიპლომატიას, ღებულობს ზღვაზე მიმოსვლის თავისუფლების პრინციპს და ხალხთა თვითგამორკვევისას. აგრეთვე მოითხოვს, რომ საფრანგეთმაც გამოაცხადოს ზავის პირობები და მოითხოვოს იტერნაციონალური კონფერენციის მოწვევა.

# პროვინცია.

დ. ჩ ო ხ ა ტ ა უ რ ი. 14 იანვარს ჩოხატაურის თეატრის დარბაზში მოხდა ჩოხატაურის, ზემო ფარცხმის, შუა ფარცხმის და სოფელ საყვავისტყის სოციალ-დემოკრატიული (მეუმრავლესეთა) იაჩეიკების პარტიის წევრების შეერთებული კრება. კრებას დაესწრო 120 პარტიის წევრი, თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ტ. მგალობლიშვილი, მდივნათ ს. ც—ძე.

დღის წესრიგს შეადგენდა შემდეგი კითხვები: 1, მოხსენება იაჩეიკებიდან, 2, მობილიზაცია და წითელი გვარდიის შედგენა, 3, მასწავლებელთა გაფიცვა და ჩვენი შეხედულება, 4, პასუხისმგებელი კორესპონდენტის არჩევა, 5, საოლქო კომიტეტის მოწოდება, 6, მოხსენება გურიის კომიტეტის წევრისაგან, 7, მიტინგის გამართვა, 8, ჩვენი მუშაობა და 9, დღევანდელი მომენტი.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებენ ყველა იაჩეიკების წარმომადგენლები, საიდანაც გამოირკვა, რომ ჩოხატაურში და ზემოხსენებულ სოფლებში ბოლშევიკების პარტიის წევრები 170-მდე აღის, კრებები ყველა იაჩეიკებში კვირაში ერთხელ ხდება, სადაც არჩევენ თანამედროვე ორგანიზაციულ კითხვებს და ატარებენ ცხოვრებაში შეძლებისა და გვარათ; ამასთან გამოირკვა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ ჩვენი პარტიის წევრების რიცხვი დღითი დღე იზრდება.

მეორე კითხვის შესახებ დიდი ხნის კამათის შემდეგ კრება საერთოდ ადგენს: ჩვენ წინააღმდეგი ვართ დღევანდელი საერთო მობილიზაციის და ვადგენთ მილიციას, რომელიც დაიცავს რევოლიუციას რუსეთის პროლეტარიატთან ერთად. მესამე კითხვაზე: კრება ანგარიშს უწევს სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობას, კანონიერათ მიაჩნია მათი მოთხოვნილება და სავსებით მხარს უჭერს მათ. მეოთხე კითხვის შესახებ კრება ირჩევს სამი პირისაგან შემდგარ პრეს—ბიუროს, რომელსაც ევალება: დამუშავება საკორესპონდენციო მასალის. არჩეული არიან: თ. ჩიჩუა, ს. ცინცაძე და ტ. მშვიდობაძე. მეხუთე კითხვაზე: კრება თანაგრძნობას უწევს კავკასიის ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტის მოწოდებას ნივთიერათ დახმარების შესახებ და ნიშნავს ამხ. ოლია თოდრიას, გიორგი ცინცაძეს, ისაკი შარაიძეს, ნინა, დესპინე და ჟიფო ცინცაძეებს, ალექსი ბერძენიშვილს, გაბრიელ ჟღენტს, ანდრო გოგოლაძეს და ნესტორ მეგრელიშვილს, რომლებსაც ევალებათ შეაგროვონ ამხანაგებში და თანამოაზრეებში შეძლებისა და გვარათ ფული, რომელიც სავსებით გადაეცემა საოლქო კომიტეტს. მეექვსე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ჩიჩუა და აცნობს კრებას გურიაში მეუმრავლესეთა კომიტეტის შედგენას. აგრეთვე ამბობს, რომ გაუქმდა ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაცია, რომელშიდაც შედიოდა ხიდისთავი და ერკეთი. ამის ნაცვლათ დაარსდა თითეული საზოგადოების ორგანიზაცია, სადაც შევლენ ყველა მახლობელ სოფლიდან იაჩეიკების წარმომადგენლები, ორგანიზაციის წევრებათ კრებამ აირჩია ჩოხატაურიდან ლ. ცინცაძე, ო. თოდრია, ნ. მეგრელიშვილი. ზემო ფარცხმიდან სეფე, მერაბ, კოსტა, უშანგი, დესპინე ცინცაძეები და ამბაკო მეგრელიშვილი. შუა ფარცხმიდან პარსიონ ყარაჯაშვილი და ალექსი ბერძენიშვილი, გოგოლეისუბნიდან ანდრო გოგოლაძე. საყვავისტყის არჩევნები გადიდვა, რადგან იქედან საკმაოთ ვერ დაესწრენ პარტიის წევრები კრებას. მეშვიდე კითხვაზე კრებამ სასურველათ დაინახა ჩოხატა-

ურში მიტინგის გამართვა და დაადგინა მოწვეულ იქნას პროპაგანდისტი და მოხერხებულ დროს მოხდეს მიტინგი მეორე კითხვა (ჩვენი მუშაობა) გაარჩია კრებამ და დაადგინა: ყოველივე მხრით ვეცადოთ და ჩვენს გარშემო შემოვიკრიბოთ უფრო შეგნებული ნაწილი და აგრეთვე ყოველნაირათ ხელი შევუწყოთ ჩვენი გაზეთის გავრცელებას. უკანასკნელ მესამე კითხვის—დღევანდელ მომენტის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. თ. ჩიჩუამ და შესაფერათ დაафასა დღევანდელი მომენტზე მეუმრავლესეთა პარტიის შეხედულება, რითაც კრება დიდი კმაყოფილი დარჩა.

**ს. ცინცაძე.**

---

ქ. ს ა მ ტ რ ე დ ი ა: პირველ იანვარს ქ. სამტრედიაში მოხდა დიდი მიტინგი. მენშევიკებს ყავდათ თფილისიდან მოწვეული რაფიელ ჩიხლაძე. მან ცილისწამების გოდოლი ააშენა ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ. ვინ იცის, რა არ დაგვწამა. ნუ იტყვით, თურმე კავკასიის ფრონტის გაშიშვლება ეს ბოლშევიკების აგიტაციის ნაყოფი ყოფილა.

რომ ბატონ ჩიხლაძეს თვალი ადგილის გამო კისერი მეტათ გასუქებული არ ჰქონდეს და გვერდზედ მიხედვა, არ უჭირდეს, ის ადვილათ დაინახავდა, როგორ ამშვენებდა სამტრედიის დუქნებს ქართულ ეროვნულ საბჭოს მოწოდება:, ქართველნო ჯარის კაცნო და ... ებო! გამოეშურეთ სამშობლოში ეროვნულ პოლკებში ჩასაწერადო.“ როდესაც ქართველ ჯარის კაცებმა ყურადღება ვედრება ეროვნულ საბჭოსი და გამოეშურენ სამშობლოში, მაშინ რუს ჯარის კაცებიც გაეშურნენ თავიანთ სამშობლოში. ამ რიგად გააშიშვლა ეროვნულ საბჭომ კავკასიის ფრონტი და მთელ კავკასიას მოუმზადა დიდი საფრთხე-თათრების შემოსევა.

როდესაც ჯერი მიდგა სხვა პარტიების წარმომადგენლებზე, ბატონ რაჟდენ მიქაძემ აუწყა მიტინგს, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს სხვა პარტიის ორატორები მხოლოდ 15 წუთი ვალაპარაკოთო.

აბა ვინ დაარღვევდა ბატონ მიქაძის და გიორგი დუნდუას გადაწყვეტილებას! მხოლოდ ეს კანონი გაავრცელეს ანარხისტზე და ბოლშევიკზე. ბ. ფარცვანიამ (ფედერალისტია) 25 წუთიც კი ილაპარაკა, მისთვის არაფერი არ უთქვამთ. მაგრამ რა აქვთ მათთან საჩხუბარი! მენშევიკები ხომ დაუმეგობრდნენ ყოველ გვარ ეროვნულ შოვინისტურ პარტიებს.

ბატონმა რაფიელმა აუწყა მიტინგს, რომ ბოლშევიკებმა სიტყვის თავისუფლება მოსპეს. ბატონო რაფიელ! ამ დღეს რომ სხვა პარტიების ორატორები პორციობით ალაპარაკეთ, რას ნიშნავდა ეს? ჩვენში ამას სიტყვის თავისუფლების შეკვეცას უწოდებთ, მხოლოდ თქვენს კარიბადინში როგორ სწერია, არ ვიცით. სრულიად შემთხვევით ანარხისტის შემდეგ ილაპარაკა ჩვენმა ამხანაგმა, (ორატორთა სია ამ რიგზედ იყო შედგენილი). უნდა გენახათ, რა რიხით აუწყა ბ. რაფიელმა საპასუხო სიტყვაში მიტინგს: აი, ხედავთ, ანარხისტის შემდეგ ბოლშევიკმა ილაპარაკა, ეს ბუნებრივია, ისინი დღეს ერთად არიან და კიდევაც ღუპავენ რუსეთის რევოლუციასო.

ბატონო ჩიხლაძე! ჩვენ არ ვართ ანარქისტები, მაგრამ თუ ანარქისტები იყვნენ ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლველნი, ამის წინააღმდეგი რა ექნება. მხოლოთ ერთი თქვენ თავს დაეკითხეთ, მენშევიკები ვისთან ხართ? თქვენ უღალატეთ რუსეთის პროლეტარიატს, დასტოვეთ ის ბრძოლის ველზე საშინელ მტრის (ბურჟუაზიის) წინაშე და კავშირი შეჰკარით კალედინ-კარაულოვთან და თათრის ბეგებთან და სხვა შოვინისტებთან. ისტორია აღნიშნავს სიმართლით, ვინ უღალატა პროლეტარიატს. ბოლშევიკებმა თუ მენშევიკებმა, მაგრამ ისტორიაზე უფრო ადრე თვით ხალხი გამოვა თქვენს მსაჯულათ და კიდეც გაგებიებთ პასუხს.

მიტინგის დასასრულს კრებას წარუდგინა ბ. რაფიელმა რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს უცხადებდა სახალხო კომისართა საბჭოს და მის ნაცვლათ ნდობას უცხადებდა თფილისის მეკზადიან, ხანხოისკის, ბეგების და აღების კონტრრევოლუციონურ კომისარიატს. დარწმუნებული იყავით ბ. რაფიელ, თქვენი რეზოლიუცია ხალხს არ მიუღია, რადგან ნახევარმა არ იცოდა რას აწვია ხელი. ხალხი ძლიერ შეშინებული იყო ამ მიტინგის დროს მომხდარი ინციდენტის გამო გვარდიელებს და მთვრალებს შორის, რომელმაც სისხლის ღვრა კინაღამ გამოიწვია. მაგრამ თქვენ, რაფიელ, არ იდარდებთ თუ ხალხმა თქვენი ლაყბობა ვერ გაიგო. თქვენ ხომ თვენი მისია შეასრულეთ, რეზოლიუცია მიაღებიეთ, მორჩა და გათავდა. მენშევიკები ხომ რეზოლიუციების ხალხი ხართ.

8 იანვარს მენშევიკებმა აქ მოაწყვეს მიტინგისებური კრება თფილისში მიმავალ რაზმელების პატივსაცემლად. ამ კრებას დაესწრო „მგოსანი“ გელა.

გელამ ასეთი დარიგება ნაკახით მიმართა რაზმელებს: „თქვენ ხართ რევოლიუციის ავანგარდი. თქვენ წარმოგშვა რევოლიუციამ, მაშასადამე თქვენ უნდა დაიცვათ ის. რევოლიუციას მოუღლინეს საფრთხე ბოლშევიკებმა და ის დაღუპვის კარამდის მიიყვანესო“. აქედან ლოღიკური დასკვნა ასეთია: თუ გსურთ რევოლიუციის გამარჯვება, ჰკა მაგათ (ბოლშევიკებს) და თუ დაამარცხებთ ბოლშევიკებს, მაშინ გელას პოეტურ აზრით, გაიმარჯვებს რევოლიუცია (ათასჯერ მართალი იქნება იგულისხმოთ კონტრრევოლიუცია).

12 იანვარს რკინის გზის კლუბში მოხდა საერთო კრება რ. ს.-დ. მ. პ. ბოლშევიკების. არჩეულ იქნა ახალი კოლექტივი 9 კაცისაგან.

კრებამ იქონია მსჯელობა საოლქო კომიტეტის მოწოდებაზე და დაადგინა, დაეხმაროს კომიტეტს ნივთიერად. მოხდა წევრებს შორის ფულის შეკრება, ფულს ახლო მომავალში გამოვგზავნით დანიშნულებისამებრ.

14 იანვარს ახალ კლუბში ჩვენმა ორგანიზაციამ გამართა წარმოდგენა-საღამო 9 იანვრის 1905 წლ. მომხდარ ამბების აღსანიშნავად. პირველ განყოფილებაში ამხ. ვანო სტურუამ წაიკითხა რეფერატი. წარმოდგენილ იქმნა მეოთხე მოქმედება „ქ ნ დ მადლენიდან“ დასასრულ დივერტისმენტი. საღამო სასურველად ჩატარდა. ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს ხალხი თანაგრძნობით ხვდება ჩვენს გამოსვლებს. ჩვენი ორგანიზაცია თანდათან იზრდება და ძლიერდება. ჩვენს პარტიაში დიდი უმრავლესობა რკინის გზის (კონდუქტორები) მოსამსახურეებია. დეპოს მუშები ჯერ რაღაც მიზეზის გამო გაურბიან ჩვენს ორგანიზაციას.

**კაშინა**

ს ო ფ. ა მ ა ღ ლ ე ბ ა. (გურია) გურია ხომ მენშევიზმის მიუვალ ციხეთ-ითვლებოდა, მაგრამ ამ ქვეყნათ მუდმივი არაფერია, და მასაც დღე დღეზე ეკ-გება გავლენა ფართო მასაში. ამი უტყუარ ფაქტად ჩაითვლება გურიაში ბოლშევიკების „იაჩეიკების“ გამრავლება. რაც ფანატიკ—შოვინისტ მენშევიკების წინამძღოლთ ძილს უფრთხობს და საგონებელში აგდებს. სოფ. ამაღლებაც ხომ ლდემდის მენშევიკთა ბუდე იყო, მაგრამ დღეიდან შეიძლება ითქვას, რომ ძველი უთმობს ახალს, ესე იგი მენშევიზმი ისტორიას ბარდება და მას ადგილს ბოლშევიზმი მაგრდება აქ მენშევიკებს პირველათ წყალი თვით რაიონულ კოლექტივში შეუდგათ. კოლექტივში სულ 7 წევრი შედიოდა, რომელთაგან 4 წევრი სასტიკი წინააღმდეგი გამოდგა კავკასიის რუსეთიდან გამოყოფისა და სურვილი გამოთქვა: მთელი ძალა-უფლება ამიერ კავკასიაში მ. ჯ. და ფლ. საბჭოებს გადაეცემოდა, მეხუთე წევრი კი მთლათ გავიდა კოლექტივიდან, რადგანაც დაინახა მენშევიკების მიერ ინტერნაციონალური გზიდან სრულიად გადახვევა და ნაციონალისტთა ჰანაკში გადაბარგვა. ამ ნაირად დარჩა მხოლოდ ორი წევრი, რომლებმაც თავი უფსკრულის პირას იგრძნეს და ფიცხლავ შეერთებულ პარტიულ კრებას ახალი უკბილო კოლექტივი აარჩევიეს და მით იგი ზემოხსენებულ 5 წევრისაგან გაანთავისუფლეს, როგორც ბოლშევიზმის ჩანასახისაგან. ამ პარტიულ კრებაზე პირველ კითხვათ იყო დღევანდელი მომენტი, რომლის დაფასების შემდეგ კენჭი უნდა ეყარათ და გამოერკვიათ, თუ პარტიის წევრები რა შეხედულობისა იყვენ, უმთავრესად, კავკასიის გამოყოფის შესახებ, მაგრამ მენშევიკების „ლიდერები“ ისე შეშინდენ, რომ ჯერ ბოლშევიკებს დიპლომატიაში გაყვენ და შემდეგ კი კენჭი აღარ უყარეს, რადგანაც მათ გულს ბაგა-ბუგი გაქონდათ: ვაი თუ დავმარცხდეთო. მაგრამ სანამ შესძლებენ ხალხს დაუმალონ ჭეშმარიტება? ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს და ჩქარა დაანახვებს ყველას კავკასიის მენშევიკების უტაქტიკობას და ამ უტაქტიკობით გამოწვეულ ჯინიანობასაც, რამაც შეიძლება, მშრომელი ხალხი დროებით მაინც გადაჩეხოს. თუ ერთი თვის წინეთ აქ მხოლოდ ერთი ბოლშევიკი იყო, დღეს აქ უკვე დაარსდა 16 კაცისაგან შემდგარი „იაჩეიკა,“ სადაც უკვე მიდის სისტემატიური მეცადინეობა: გადიან „კომუნისტურ მანიფესტს“ საერთოდ ხალხში თან და თან იზრდება სიმპატია ბოლშევიკებისადმი, რასაც უმთავრესად ხელს უწყობს მენშევიკების მიერ გადადგმული ნაბიჯი, სახელდობრ: მობილიზაცია და ეშალონების განიარაღება. საჭიროა არის გურიაში ერთი პროფესიონალური პარტიული მუშაკი.

**ლახვარი.**

---

## ფონდი საოლქო კომიტეტის სასარგებლოდ.

თფილ. მეორე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ორგანიზაციისაგან საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ შემოვიდა მ. ჩოდრიშვილის მიერ შეგროვილი ერთი დღის შემოსავლის შემოწირულება შემდეგ ამხანაგთაგან: პოდდუშინკომ—10 მ., ე. სიდამონიძემ—7 მან., მ. ჩოდრიშვილმა—5 მ., ანარქისტმა—1 მ., ი. ბერაიამ—5 მ., ს. ქინთარიამ—5 მ., ვ. ბერაიამ—5 მ., გ. ჩოდრეჰმა—5 მ., ლ. ნეუმოემა—10 მ., ზუშიაშვილმა—5 მ., ნ. ჩოდრიშვილმა—5 მან., კ. ხომერიკმა—5 მ., ა. ქურიძემ 5 მ., გ. გოცირიძემ—5 მ., კანაშვილმა—50 მ., ნ. კარევმა—8 მ. პ. ქოიავამ—5 მ., საკ. პეტიძემ—10 მან.

სულ 151 მან.

---

## ჩვენი ფოსტა.

რედაქცია აცხადებს, რომ ამხ. „სკვინჩას“ წერილები არა, შალიკო ჩიტაიშვილს არ ეკუთვნის.

„უპარტიოს“. მიიღეთ მეტი გაბედულება და შემოდით ჩვენს რედაქციაში. იოხატაურელ ამხანაგებს. ნეკროლოგი (ესეს შესახებ) იყო დაბეჭდილი. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ საინტერესო და საყურადღებო წერილებს ყოველთვის ვბეჭდავთ.

---

# განცხადებები.

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სხდომა დანიშნულია 25 იანვარს, ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე გაზ. „კავკ. რაბოჩ.“ რედაქც.

---

24 იანვარს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე დანიშნულია **საერთო კრება** ბოლშევიკ ოსების და მათი თანამგრძნობელების. სახალხო სახლში (კიროჩნის ქუჩა). მოხსენებას მიმდინარე მომენტზე წაიკითხავს ამხ. რამონოვი.

ამხ. ვთხოვ ნუ დაიგვიანებენ.

---

**ქ. ს ა მ ტ რ ე დ ი ა.**

საერთო კრებები რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკებისა ხდება ყოველ კვირაში ერთხელ პარასკეობით, რკინის გზის კლუბ დღის 3 საათიდან.

წევრათ ჩაწერა ბოლშევიკების ორგანიზაციაში შეიძლება [illegible] (ბუფეთში გაზეთების შკაფი). კოლო მიქაძესთან (ქართულ სამკითხველოში).

---

პირველი რაიონის ბიურო ბოლშევიკებისა ამხანაგებს თხოვს დახმარება გაუწიონ შემოწირულებით, როგორც ფულით ისე წიგნებით და ბროშურებით, რომ ბიუროსთან მოეწყოს ბიბლიოთეკა. შემოწირულება მიიღება გაზეთ „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში და 1 რაიონის ბიუროში (ჩერქეზოვის ქუჩა № 135) 5 საათ.—8 საათამდე.

---

პირველი რაიონის ბიურო ბოლშევიკებისა ამხანაგებს სთხოვს შემოიარონ ბიუროში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 135, რომ ძველი საწევრო ბილეთები ახალზე 1918 წლის ბილეთებზე გამოცვალონ, რადგან პარტიის წევრებათ ისინი ჩაირიცხებიან, ვისაც ასეთი ბილეთები ექნებათ მიღებული.

---

რ. ს.-დ. მ. პ. მეუმრავლესეთა (ბოლშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამოს 6 საათამდე ჯაბა მამულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.

---

კანტორა პროფესიონალურ კავშირისა, „პროლეტარები ნემსის“ ღიაა დილის 12 საათიდ ნ ნაშუადღევის 2 საათამდე საღამოობით — 6 საათ. 9 საათამდე. ადრესი: პეტრე დიდის ქუჩა № 18. პროფ. კავშირთა სადგომი, ოთახი

---

თფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მშობელთა კომიტეტის აღმასრულებელი კომისია აცხადებს ამ სასწავლებლის მოსწავლეთა საყურადღებოთ, რომ მეცადინეობა ამ სასწავლებელში დაიწყება 20 იანვრიდან.